

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის განმტკიცების, ფულად-საკრედიტო ოპერაციების და ბანკნოტებისა და მონეტების, ასევე ნუმისმატიკური ფასეულობების რეალიზაციის მარეგულირებელი ნორმების დახვეწის საჭიროებით, ლარის ბანკნოტებზე ეროვნული ბანკის საავტორო უფლებების დადგენის აუცილებლობით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის განმტკიცება, მიენიჭოს ეროვნულ ბანკს უფლებამოსილება გააფართოოს ფულად საკრედიტო ოპერაციები, დაიხვეწოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკნოტებსა და მონეტების დამზადების რეგულირება, მკაფიოდ განისაზღვროს ეროვნული ბანკის საავტორო უფლება, და ამ თვალსაზრისით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის სტანდარტებთან.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად ცხადად ყალიბდება და მტკიცდება ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა მთავრობისაგან, ასევე პასუხისმგებლობების გამიჯნვა მთავრობის, თუ სხვა სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებების მიმართ.

ეროვნული ბანკის საბჭოს ენიჭება უფლებამოსილება განსაზღვროს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის სესხის გასაცემად დასაშვები უზრუნველყოფის მექანიზმები.

კანონპროექტის თანახმად დგინდება ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებულ ან რეალიზებულ, მათ შორის სამახსოვრო მონეტებზე, ბანკნოტებსა და მონეტებზე

უპირობო ვალდებულება ნომინალის ღირებულებით, ამასთან ეს ვალდებულება არ ვრცელდება მიმოქცევიდან ამოღებულ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე.

შემოთავაზებული ცვლილებით მტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისა და ემისიის ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ეროვნული ბანკის საავტორო უფლება ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე, რაც შესაბამისობაშია ევროპის ცენტრალური ბანკის პრაქტისაკთან. ამ ცვლილებებით ეროვნულ ბანკს ეძლევა უფლება დაამზადოს ოქროს ზოდები და მოახდინოს მათი რეალიზაცია.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:**

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე.